ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს წევრის სახელი გვარი: დავით ჭაკნელიძე

თანამდებობის დასახელება: ფრაქციის თავმჯდომარე

კომისიის დასახელება-1.სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია.

2. აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება- კონსერვატორები"

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) __ მაჟორიტარი 60/48,60/49 და 60/62

საანგარიშო პერიოდი - 01/11/2019 წლიდანდან--30/10/2020 წლამდე

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)- რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1.სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 20

ა) საკრებულოს სხდომებზე დასწრება --19

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 32 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი

ა) კომისიის სხდომებზე დასწრება - 30 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა _5

ა) ფრაქციის სხდომებზე დასწრება _5

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა------- დადგენილება,------ განკარგულება

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანო საკითხები

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება ;
ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცება.
გ) მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის წლური შესრულების ანგარში.
დ) ფარქცია ქართული ოცნების მიერ ინიცირებული საკითხები კერძოდ; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღრზრდის პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალისთვის ხელფასების მატება.
აგრეთვე იმ მნიშვნელოვან საკითხებს რომელებიც მუნიციპალიტეტის მერის მიერ იქნა ინიცირებული საკრებულოში.

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 50 და შეხვედრებზე მონაწილე

მოქალაქეთა რაოდენობა - 95.

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და სოფლის ინფრასტრუქტურის მოწყობას.

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მოქალაქეთა დასმული საკითხების უმეტესობა გადაგზავნილი იქნა მერთან შემდგომი რეაგირებისათვის, ხოლო რაც ჩემს კომპეტენციას განეკუთვნებოდა დაკმაყოფილდა.

მოკლედ მოგახსენოთ იმ პროექტების შესახებ რომელიც 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე განხორციელდა სოფელ შრომაში ეს პროექტებია:

- სოფელში ნაწილობრივ ჩატარდა შიდა გზების მოხრეშვითი სამუშაოები. სულ მოიხრეშა ათი კილომეტრი გზის მონაკვეთი.

- სოფელში ძნელად ასასვლელ სხვადასხვა უბნებში და სასაფლაოს მისავლელ აღმართებზე განხორციელდა ბეტონის საფარის დაგება: სულ დაიგო 2500.მ ბეტონის საფარი. ამ მიმართულებით სამუშაოები გრძელდება.

სტიქიით გამოწვეული ზარალის გამო სახლის სახურავის მასალა გადაეცათ 10 ოჯახს.

სოფლის მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში სოფელს გამოეყო 160 ათ.ლარი. მოსახლეობასთან ერთად სოფლის კრებაზე განხილული იქნა საკითხი. გამოყოფილი თანხა შეთანხმებული იყო სოფლი კრებაზე. მოსახლეობის მიერ იქნა შერჩეული ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები, კერძოდ:

ა) სოფლის ტერიტორიაზე ნაწილობრივ განხორციელდა და მოეწყო გარე განათების სისტემა სხვადასხვა უბნებში.სულ 300 ერთეული.

ბ) სოფლის საბავშო ბაღში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ორ ოთახს.

გ) სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრში გარემონტდა საზოგადოებრივი საპირფარეშო.

დ) ადმინისტრაციულ ცენტრში მოეწყო ახალი მინი სტადიონი.

აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხები და გაკეთდა კერძოდ:

ა) სოფლის ადმინისტრაციულ შენობას და კულტურის სახლს შეეცვალა სახურავი.

გ) სოფელ ხრიალეთში მოეწყო ჭაბურღილი.

მალე დასრულდება სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ უბანში ეკალდიდში სკოლის მშენებლობა რომელიც გათვლილია 60 ბავშვზე.

2021 წელს იგეგმება სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ უბანში კერძოდ ვაკეში საბავშვო ბაღის აშენება. რომლითაც გადაწყდება დიდი ხნის პრობლემა.

2020 წელს დაიწყო სოფლისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი რომელიც შეეხება სოფლის მთლიანად გაზიფიცირებას რომელიც დასრულდება 2021 წელს.

გადუწყვეტელ პრობლემად რჩება სოფლის სასმელი წყლით მომარაგება ასევე შიდა გზების მოწესრიგება.

10. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

საკრებულოს და ბიუროს სხდომებში მონაწილება: 32-ჯერ

ვმონაწილეობდი საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ მოწვეულ თათბირებში სულ 8 შეხვედრაში.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 4 შეხვედრაში.

მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს. მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას როგორც საკრებულოში ასევე ამომრჩევლებთან.

შევსების თარიღი ----------

წარდგენის თარიღი ----------

ხელმოწერა ----------